განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი

შეფასების თარიღი
- 2022 წლის 20-21
იანვარი

დასკვნის წარმოდგენის
თარიღი: 2022 წლის 29
მარტი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი
უსდ-ის საიდენტიფიკაციო კოდი	204379083
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსი
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი (7)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	დიპლომირებული მედიკოსი (MD)
დეტალური სფერო და კოდი	0912 მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობითად აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი პროგრამის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. თუ ერთობლივი პროგრამა ხორციელდება უცხოურ უსდ-სთან თანამშრომლობით, საიდენტიფიკაციო კოდისა და ორგანიზაციულ-იურიდიული ფორმის მითითება სავალდებულო არაა.

[2] თუ პროგრამა ხორციელდება უცხოურ უსდ-სთან თანამშრომლობით და პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავებულია, მაშინ მიეთითება შესაბამისი უნივერსიტეტის კვალიფიკაცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	აზიმ მირზაზადეჰ, თეირანის მედიცინის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	ჯილდა ჭეიშვილი შპს ალტე უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	ირაკლი გაგუა გაგუას კლინიკის მთავარი ხელმძღვანელი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	გიორგი აბულაძე სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  განხილული პროგრამა არის დიპლომირებული მედიკოსის ახალი, ერთსაფეხურიანი პროგრამა ინგლისურ ენაზე. პროგრამა ისწავლება 12 სემესტრის განმავლობაში და მოიცავს 360 კრედიტს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

  დაწესებულებაში ვიზიტი ორგანიზებული იყო განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ, სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის კამპუსში. ვიზიტი მოიცავდა 9 შეხვედრას (უნივერსიტეტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და მედიცინის ფაკულტეტთან, მათ შორის რექტორთან, პრორექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და გარე მრჩეველთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, პრაქტიკის მასწავლებლებთან/ხელმძღვანელებთან და დამსაქმებლებთან), ასევე

აუდიტორიებში, პრაქტიკულ ლაბორატორიებში, კლინიკური უნარებისა და სიმულაციის ცენტრსა და ბიბლიოთეკაში ვიზიტს (2022 წლის 20 იანვარი). დაწესებულებაში ვიზიტს პირადად ესწრებოდა გუნდის ყველა წევრი უცხოელი ექსპერტების ჩათვლით. ვინაიდან პროგრამა ახალია, არ არსებობდნენ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, თუმცა ინტერვიუები ჩავატარეთ ფარმაციისა და სტომატოლოგიის პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ვიზიტის მეორე დღეს (2022 წლის 21 იანვარი), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეხვედრის შემდეგ, მოვინახულეთ ორი კლინიკა, სადაც სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის სტუდენტები გაივლიან როტაციას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 – 1.1: შეესაბამება; 1.2: მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 2 – 2.1: შეესაბამება; 2.2: შეესაბამება; 2.3: მეტწილად შეესაბამება; 2.4: ნაწილობრივ შეესაბამება; 2.5: ნაწილობრივ შეესაბამება; 2.6: ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 3 - 3.1: მეტნაწილად შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 4 - 4.1: ნაწილობრივ შეესაბამება 4.2: ნაწილობრივ შეესაბამება; 4.3: ნაწილობრივ შეესაბამება; 4.4: შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 5 - 5.1: შეესაბამება; 5.2: შეესაბამება; 5.3: ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს

- **რეკომენდაციების შეჯამება**

1. საჭიროა ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის, მათ შორის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სერიოზული ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში, მათ შორის, სწავლის შედეგების შემუშავებაში.
2. უნდა შეიქმნას ძლიერი სისტემა შედეგების მიღწევის შესაფასებლად.
3. რეკომენდებულია სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრა სასწავლო კურსებში (პათოლოგია 1, პათოლოგია 2, დიაგნოზის მეთოდები 1 და დიაგნოზის მეთოდი 2, სილაბუსები-CAP) და კომპეტენციის რუკაზე.
4. კომპეტენციის რუკა (დონეები პირველიდან მესამემდე) უფრო მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს სტუდენტების წინსვლას.
5. რეკომენდებულია მანეკენების მიწოდება, რომლებიც აუცილებელია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
6. რეკომენდირებულია OSCE-ს გამომცდელების მხრიდან გამოსაცდელთათვის შესაბამისი სივრცის მოწყობა.
7. რეკომენდებულია საავადმყოფოების რაოდენობის გაზრდა კლინიკური კურსებისთვის.
8. საჭიროა კლინიკებთან მოლაპარაკება, რათა მეტი სივრცე იყოს გამოყოფილი

უნივერსიტეტ მილენიუმის სტუდენტების სასწავლო მიზნებისთვის.

9. კლინიკები ორიენტირებულები უნდა იყვნენ უნივერსიტეტ მილენიუმის მოლოდინებზე სტუდენტების კლინიკურ როტაციებთან დაკავშირებით.
10. საჭიროა ყველა სილაბუსის გადახედვა სწავლებისა და სწავლის იმ მეთოდების უზრუნველსაყოფად, რომლებიც შესაფერისია კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად.
11. რეკომენდირებულია მთელი პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების თანამედროვე სწავლების მეთოდებში.
12. შეფასების მეთოდები და სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს.
13. რეკომენდებულია სილაბუსებში მკაფიოდ იყოს ახსნილი შეფასების კრიტერიუმები.
14. საჭიროა გასაჩივრების პროცესის დაზუსტება.
15. სტუდენტები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ გასაჩივრების სათანადო მექანიზმით.
16. უფრო სერიოზულად უნდა იქნეს განხილული სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ აქტივობებში, როგორებიცაა პროექტები, ღონისძიებები, კონფერენციები და კვლევები.
17. სტუდენტებს მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრის შესახებ.
18. სასწავლო მასალების (PBL შემთხვევების, სცენარების) ფლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტიტუციურ/პროგრამულ დონეზე და არა ინდივიდუალურზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას.
19. საჭიროა სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვის ნორმების დადგენა და პერსონალის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის შემუშავება.
20. უზრუნველყოფილი იქნეს პროგრამის მდგრადი განვითარება სრულ განაკვეთზე დასაქმებული (აკადემიური და ადმინისტრაციული) პერსონალის მნიშვნელოვანი რაოდენობით.
21. გაუმჯობესდეს ზოგიერთი მასწავლებლის ინგლისური ენის კომპეტენციები.
22. დაწესებულებაში პროგრამა უნდა აჩვენებდეს სწავლებისა და აკადემიური მუშაობის შეფასების სისტემის მოქმედებას როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ ასპექტებზე.
23. პროგრამები საჭიროებს სამედიცინო განათლების განვითარების სფეროში პერსონალის მომზადების დიდ ძალისხმევას, მათ შორის უშუალო კურსებსა და ვორქშოპებს კურიკულუმის დიზაინისა და შემუშავების, სწავლების/სწავლის და შეფასების შესახებ.
24. აუდიტორიებში საკმარისი რაოდენობის ადგილები უნდა იყოს სტუდენტთა სხვადასხვა ნაკადისათვის.
25. საჭიროა კლინიკური უნარების ცენტრის უზრუნველყოფა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კურსებისათვის შესაბამისი და ადეკვატური რაოდენობის აღჭურვილობით.
26. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საკმარისი ფართით.
27. გაძლიერდეს თანამშრომლობა კლინიკურ ბაზებთან.
28. რეკომენდებულია დამსაქმებლების და სტუდენტების ჩართულობის გაზრდა ხარისხის

უზრუნველყოფის პროცესში.

29. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში აუცილებელია დამსაქმებლებთან მჭიდრო კომუნიკაცია და მათი შეხედულებების გაზიარება;
30. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის პროცესებმა უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის სისტემატური ჩართულობა განვითარებაში და მონაცემთა ანალიზში.
31. უნივერსიტეტის ხარისხის შიდა შეფასების სისტემამ უნდა შეაფასოს სასწავლო და კვლევითი აქტივობები, გააანალიზოს და გამოიყენოს შეფასების შედეგები შემდგომი განვითარების დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგისათვის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და მისიის შესასრულებლად.

- **რჩევების შეჯამება**

1. უკეთესი იქნება, თუ უნივერსიტეტი იმუშავებს საავადმყოფოსთან აფილირებაზე.
2. სტუდენტები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ გასაჩივრების სათანადო მექანიზმით.
3. უფრო სერიოზულად უნდა იქნეს განხილული სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ აქტივობებში, როგორებიცაა პროექტები, ღონისძიებები, კონფერენციები და კვლევები.
4. სტუდენტებს მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრის შესახებ.
5. სულ მცირე, პროგრამის ხელმძღვანელი მაინც უნდა იყოს აფილირებული უნივერსიტეტთან.
6. პროფესიული რეზიუმეები (CV) უნდა განახლდეს პერიოდულად აკადემიური საქმიანობის რეგულარული შეფასების მიხედვით.
7. უნდა მოხდეს სწავლის საფასურის შედარება ადგილობრივ შრომის ბაზართან.
8. სასურველია პროგრამის განვითარების კვლევის ჩატარება ანონიმურად და სიღრმისეული მიდგომის უზრუნველყოფა, რათა მიღებული შედეგები იყოს პროდუქტიული და პროგრამის გაუმჯობესებისკენ მიმართული.
9. სასურველია ახალი პროგრამის შემუშავებისას თვითშეფასების პროცესში ალტერნატიული პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მაქსიმალურად ჩართვა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამაში მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
➢ პროგრამის მიზნები განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ მის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები ნათელი, რეალისტური და მიღწევადია და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კომპლექტს, რომლის განვითარებასაც პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებში. მიზნების ახდენს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის ილუსტრირებას და შეესაბამება უსდ-ის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. როგორც უნივერსიტეტის მისიაშია აღნიშნული, ამ პროგრამის მიზანია საზოგადოებას მიაწოდოს კვალიფიციური ექიმები. ამ პროგრამის მიზნები მოცემულია დოკუმენტებში და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე განთავსებულია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სასწავლო გეგმა, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, რომ ეს პროგრამა ამჟამად აკრედიტაციის პროცესს გადის. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების საჭიროებებს. ამგვარად, დადგინდა, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები ასახავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს, რადგან ნათლად არის აღნიშნული, რომ ამ პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებში განავითაროს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი უნარები. მართალია მე-9 დანართში „ინტერნაციონალიზაცია“ არის დოკუმენტები, რომლებიც აჩვენებს ხელშეკრულებებს და თანამშრომლობას სხვა ორგანიზაციებთან, მაგრამ მათი უმეტესობა 4-5 წლისაა და არ არის ორიენტირებული დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე. პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://millennium.edu.ge/en/mission-2/; • შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1: დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • დანართი 9: ინტერნაციონალიზაცია; • უნივერსიტეტის მისიები და მიზნები; • გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები: • წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა იქნეს განხილული დაწესებულების მიერ სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: • არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საბოლოო მონაცემები გამოიყენება

პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები: ○ შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ყურადღებას ამახვილებს ყოვლისმომცველ ცოდნაზე, უნარებსა და/ან პასუხისმგებლობის გრძნობასა და ავტონომიურობაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამის შინაარსით; ○ არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. კლინიკურ მეცნიერებებში ყურადღება გამახვილებულია პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე და ასევე აღნიშნულია ეფექტური კომუნიკაცია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული დიაგნოზი, მკურნალობა და სიცოცხლის მანძილზე სწავლის მოტივაცია. ○ შინაარსი მოიცავს კვლევის უნარებს, დიაგნოსტიკის მეთოდებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მედიცინას. საკმაოდ ბევრ დოკუმენტში ნაჩვენებია პაციენტის აღქმა ფართო სოციალურ, კულტურულ და სხვ. კონტექსტში, ასევე მედიცინის გლობალური ასპექტები, სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური, სამართლებრივი და პროფესიული პასუხისმგებლობების გამოყენებასთან ერთად. ○ შეესაბამება განათლების შესაბამის საფეხურს კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით. ○ ეყრდნობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგის სამიზნე ნიშნულებს. ○ შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებს და კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს სწავლა გააგრძელონ განათლების შემდეგ საფეხურზე. ○ შეესაბამება დარგის თავისებურებებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; დადგინდა, რომ პროგრამის მიზნები შეესაბამება საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ○ სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სწავლის შედეგები დადგენილია პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის (როგორიცაა აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.) მონაწილეობით. თუმცა აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს აღმოვაჩინეთ, რომ სულ მცირე ზოგიერთ ისეთ სფეროში, როგორიცაა პროფესიონალიზმი, აკადემიური პერსონალი არ იცნობს მის ძირითად კონცეფციებსაც კი. ამგვარად, უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ფლობდეს ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ. ○ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია და არ ჰყავს ჩარიცხული სტუდენტები, მას შეუძლია გამოიყენოს სხვა დისციპლინების სტუდენტებისგან მიღებული ინფორმაცია სწავლის შედეგების განვითარებისთვის. ○ მართალია, არსებობს დოკუმენტი - დანართი 4, რომელიც აღწერს სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მექანიზმს, მაგრამ ორი ძირითადი პრობლემა იკვეთება. ის ძალიან ზოგადია და არ მოიცავს შედეგის შეფასებისთვის შესაბამისი სისტემის მოთხოვნას. მეორე პრობლემაა, რომ არ არსებობს

მტკიცებულება, რომელიც აჩვენებს ადგილზე მის მუშაობას. მაგალითად, შეფასების მონაცემების ნიმუში, შეფასების ანგარიში ან შეხვედრის ოქმი, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენა სასწავლო უნივერსიტეტმა მილენიუმმა შეფასების შედეგი პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://millennium.edu.ge/en/mission-2/; • შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის თვითშეფასების ანგარიში; • დანართი 1: საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • დაწესებულებაში ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები; • დანართი 4: სწავლის შედეგების შეფასება.
რეკომენდაციები: • საჭიროა ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის, მათ შორის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სერიოზული ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში, მათ შორის, სწავლის შედეგების შემუშავებაში. • უნდა შეიქმნას ძლიერი სისტემა შედეგების მიღწევის შესაფასებლად.
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: • არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
➢ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშის განხილვით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან გასაუბრებით. მიღების წესი ეყრდნობა „უმაღლესი განათლების შესახებ კანონს“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულებას და მოიცავს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას. უნივერსიტეტი ატარებს ინტერვიუს პოტენციურ საერთაშორისო სტუდენტებთან, რომლებსაც აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება (ესენი არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც მიიღეს ზოგადი საშუალო განათლება ან მისი ეკვივალენტი უცხო ქვეყანაში). ამ კანდიდატებისთვის სავალდებულო მოთხოვნაა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. დოკუმენტში, რომელსაც ჰქვია „შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის წესი“ არის რამდენიმე სტატია, მათ შორის ენობრივი კომპეტენციის შეფასება, კომპეტენციის შეფასების (A, B, C დონე) გამოცდების მეთოდოლოგია, გასაჩივრება და შედეგები. o მობილობა დასაშვებია N10/N ბრძანებით (04.02.2010) უმაღლეს სასწავლებლებს შორის ტრანსფერის პროცედურის დადასტურების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • ვებგვერდი :https://millennium.edu.ge/wp-content/uploads/2021/12/MD-program-Eng1.pdf • შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის სტუდენტის ენის ფლობის; • კომპეტენციის განსაზღვრის წესი; • ინტერვიუ.
რეკომენდაციები: • არაა მითითებული
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: • არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან, იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- მე-3 დანართში მოცემულია სტანდარტებთან შესაბამისობის დაგეგმვის, შემუშავებისა და დადგენის, ასევე პროგრამის გაუმჯობესების ეტაპების ნათელი სახელმძღვანელო მითითებები. იმის გამო, რომ პროგრამა ახალია და ჯერ არ განხორციელებულა, შეუძლებელია მტკიცებულების ჩვენება, თუ როგორ გამოიყენა უსდ-მ შეფასების შედეგები მისი გაუმჯობესებისთვის.
- პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების დონეს. პროგრამა მოიცავს 360 კრედიტს 6 აკადემიური წლის განმავლობაში.
- პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; იგი მოიცავს 4 კურსს ქართულ ენაზე (16 ECT), რომლებიც ნაწილდება 1-დან მე-4 სემესტრამდე. რაც შეესაბამება დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამას, რომელიც იღებს უცხოელ სტუდენტებს.
- პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (თითოეული ინდივიდუალური კურსის ჩათვლით) არის თანმიმდევრული და ლოგიკურად სტრუქტურირებული, რადგან ბიოსამედიცინო მეცნიერება ისწავლება პირველ ორ წელიწადში, პრეკლინიკური კურსები - მესამე წელს, კლინიკური კურსები - მეოთხე და მეხუთე წელს და პრაქტიკის უფრო მაღალი დონეები - მეექვსე წელს.
- შემდეგ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია.
- პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად.
- პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს კვლევის ახალ შედეგებს და თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებს, რადგან მასში შედის ისეთი თემები, როგორიცაა საზოგადოებრივი ჯანდაცვა, გენდერული საკითხები და ა.შ.
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესაბამისად, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე სტუდენტებს შეუძლიათ არჩევითი კომპონენტების შერჩევა. დოკუმენტების მიხედვით, სტუდენტს სწავლის 6 წლის განმავლობაში შეუძლია 17 არჩევითი კრედიტის მოპოვება.
- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ნაჩვენები იყო, რომ დაინტერესებული მხარეები ჩართულნი იყვნენ ამ პროცესში და რამდენიმე სტუდენტიც ესწრებოდა სტუდენტების ჩართულობის საჩვენებლად.
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამასთან (დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამასთან) დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://millennium.edu.ge/en/mission-2/;
- შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის თვითშეფასების ანგარიში;
- დანართი 3: პროგრამის დაგეგმვა და განვითარება;
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები: • წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა იქნეს განხილული დაწესებულების მიერ სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: • არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. უფრო მეტიც, ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა ეფუძნება სფეროში არსებულ ძირითად მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის გამიზნული სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია; სასწავლო გეგმაში შეტანილი სასწავლო კურსები ეფუძნება სტუდენტების მიერ წინასწარ შეძენილ ცოდნასა და უნარებს; კურსები ერთმანეთთან დაკავშირებულია ე.წ. „მემკვიდრეობითობის“ პრინციპით. ○ სილაბუსები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის/მოდულის დასახელება და ტიპი, კურსის მოცულობა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიხედვით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი,

წინაპირობები, სწავლის შედეგები, სტუდენტის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები. ○ თითოეული მოდულისთვის/კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს სასურველი შედეგის მიღწევას. ○ ყველა ცალკეული სასწავლო კურსისა და მოდულის სწავლის შედეგები მთლიანობაში ქმნის პროგრამის სწავლის შედეგებს, რომლებიც განსაზღვრულია დარგობრივი მახასიათებლით და კვალიფიკაციის აღმწერით. ○ კომპეტენციების რუკა ასახავს სწავლის სამ შედეგს: 1 - შესავალი, 2 - გაღრმავება, 3 - დაუფლება. ○ სწავლის შედეგები დანერგილია ქვედა დონის კურსებში და შემდგომ ვითარდება კლინიკურ კურსებში, მაგრამ სილაბუსებისა (პათოლოგია 1, პათოლოგია 2, დიაგნოზის მეთოდები 1 და დიაგნოზის მეთოდი 2) და კომპეტენციის რუკის მიხედვით, მრავალი დარგობრივი კომპეტენცია მითითებულია „დაუფლების“ დონეზე, ხოლო კლინიკური კურსების იგივე კომპეტენციები მომდევნო სასწავლო წლებში ნაჩვენებია „გაღრმავების“ დონეზე. აღნიშნული ფაქტი არ აჩვენებს სტუდენტის პროგრესს. შესაბამისად, ეს გვაფიქრებინებს, რომ პროგრამა წლების განმავლობაში არ აძლევს სტუდენტებს ცოდნასა და უნარებს არც განახლების და არც გაუმჯობესების გზით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროგრამა არ არის მიმართული სტუდენტების პროფესიულ ზრდაზე დარგობრივი კომპეტენციების დაუფლების გზით. ○ ზოგიერთ სასწავლო კურსში (სილაბუსები - CAP: კლინიკური და პროფესიული უნარები I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII) სწავლის შედეგები მოიცავს მხოლოდ უნარებს, როდესაც კურსის შინაარსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა: ინფექციების პრევენცია და კონტროლი, ფიზიკური განვითარების შეფასება, ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევა; სასიცოცხლო ნიშნების შემოწმება, რაც აუცილებლად აძლევს სტუდენტებს შესაბამის ცოდნას. ○ სილაბუსებში შეტანილი საჭირო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ○ საჭირო სავალდებულო ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონულად ონლაინ რეჟიმში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები; • კომპეტენციის რუკა; • თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრა სასწავლო კურსებში (პათოლოგია 1, პათოლოგია 2, დიაგნოზის მეთოდები 1 და დიაგნოზის მეთოდი 2, სილაბუსები-CAP) და კომპეტენციის რუკაზე. • კომპეტენციის რუკა (დონეები პირველიდან მესამემდე) უფრო მკაფიოდ უნდა

გამოხატავდეს სტუდენტების წინსვლას.
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: • არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარება
➢ სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლა და გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარებას. ○ პრაქტიკული უნარების განვითარება იწყება პირველი სემესტრიდან და გრძელდება პროგრამის დასრულებამდე. მთლიანობაში, ის მოიცავს თორმეტ კურსს (სემესტრში თითოს) – კლინიკური და პროფესიული უნარების სასწავლო კურსის ფარგლებში (CAP I-XII). გარდა ამისა, კლინიკურ სტადიაზე კლინიკური უნარების განვითარებას უზრუნველყოფს ძირითადად ისეთი კლინიკური კურსები, როგორიცაა: შინაგანი

მედიცინა, ქირურგია, ოტორინოლარინგოლოგია, მეანობა და გინეკოლოგია და ა.შ.

- სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმს შენობის შიგნით აქვს კლინიკური უნარების ლაბორატორია პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. არსებობს სხვადასხვა ტიპის ოთახები: სარეანიმაციო, ინტენსიური თერაპიის განყოფილება, საოპერაციო, მიწოდების განყოფილება, ოტოლარინგოლოგია და სხვა. არსებობს მიკრობიოლოგიისა და პათოლოგიის ლაბორატორიაც - შესაბამისი ნიმუშებით, მიკროსკოპებითა და სხვა აპარატურით. ასევე წარმოდგენილია ანატომიის ლაბორატორია რამდენიმე ანატომიური მულაჟით და ვირტუალური რეალობის სისტემით, ტელემედიცინის ლაბორატორია და ა.შ.
- კლინიკური უნარებისა და სიმულაციური ცენტრის ყველა ოთახი (პირველ სართულზე) აღჭურვილია ფარული კამერებით, რომლებსაც აკონტროლებს პერსონალი მთავარი შენობის მეორე სართულზე მდებარე ოთახიდან. სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის თანამშრომლების მიერ მოწოდებული ინფორმაციისგან განსხვავებით, ეს ფარული კამერები ვერ იქნებოდა გამოყენებული სტუდენტების მუშაობაზე დასაკვირვებლად OSCE-ს გამოცდის დროს, რადგან ისინი ფიქსირებულია, რაც ზღუდავს შესაბამის არეალს სტუდენტების მუშაობაზე დაკვირვებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ უსაფრთხოების მიზნით არის და არა სტუდენტების შეფასებისთვის.
- უნივერსიტეტი კლინიკურ საქმიანობას ახორციელებს ექვს კლინიკაში (კონტრაქტების/მემორანდუმების საფუძველზე). ვიზიტის დროს გაუქმდა ერთი მემორანდუმი (ევექსის ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოსთან). არცერთი მათგანი არ არის აფილირებული სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმთან. თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობა (თორმეტი ერთ ჯერზე), ასევე პრაქტიკის მიზანი (განსაზღვრული მემორანდუმით) და ხანგრძლივობა.
- საავადმყოფოებში (შპს ავერსის საავადმყოფოში და კლინიკა „ინ ვიტროში“) ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ საავადმყოფოებში არსებული სივრცე არ არის საკმარისი სწავლისთვის (თითოეულ საავადმყოფოში მხოლოდ ერთი ოთახია გამოყოფილი ლექციებისთვის და ერთიც - ჯგუფური მუშაობისთვის). ერთ-ერთ საავადმყოფოში (ავერსის კლინიკა) ადმინისტრაციამ იცის მემორანდუმის დეტალები, საავადმყოფოს როლები და პასუხისმგებლობები სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის სტუდენტების წინაშე. საპირისპირო ვითარებაა „ინ ვიტროს“ კლინიკაში, სადაც ადმინისტრაციამ და თანამშრომლებმა დეტალების შესახებ არაფერი იცოდნენ და აღნიშნეს, რომ ახლახან მოაწერეს ხელი მემორანდუმს.
- პროგრამაში სამეცნიერო უნარების განვითარება იწყება პირველივე საფეხურზე და მიმდინარეობს სპირალური ფორმით. მას ეთმობა სავალდებულო სასწავლო მოდულის ცხრამეტი კრედიტი; სტუდენტი გადის აკადემიური წერის, ეპიდემიოლოგიის, ბიოსტატისტიკის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის სავალდებულო კურსს და პროგრამის ბოლოს სტუდენტებმა უნდა დაწერონ პროექტი პროექტის სასწავლო კურსის ფარგლებში (6 ECT). პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების უმეტესობა ითვალისწინებს მცირე კვლევის უნარების განვითარების კომპონენტებს, როგორიცაა ესე, აბსტრაქტი, პრეზენტაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შესაბამისი მემორანდუმები დაწესებულებებთან;
- კურსის კომპეტენციების რუკა;
- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის პროფესიული რეზიუმეები;
- გასაუბრებების შედეგები;
- გარემო (უნივერსიტეტი, საავადმყოფოები).

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მანეკენების მიწოდება, რომლებიც აუცილებელია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
- რეკომენდირებულია OSCE-ს გამომცდელების მხრიდან გამოსაცდელთათვის შესაბამისი სივრცის მოწყობა.
- რეკომენდებულია საავადმყოფოების რაოდენობის გაზრდა კლინიკური კურსებისთვის.
- საჭიროა კლინიკებთან მოლაპარაკება, რათა მეტი სივრცე იყოს გამოყოფილი უნივერსიტეტ მილენიუმის სტუდენტების სასწავლო მიზნებისთვის.
- კლინიკები ორიენტირებულები უნდა იყვნენ უნივერსიტეტ მილენიუმის მოლოდინებზე სტუდენტების კლინიკურ როტაციებთან დაკავშირებით.

რჩევები პროგრამის განსავითარებლად:

- უკეთესი იქნება, თუ უნივერსიტეტი იმუშავებს საავადმყოფოსთან აფილირებაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

- პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლებისა და სწავლის მეთოდები
➢ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების ამ საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ სასწავლო გეგმა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდებით. სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი აღწერს სწავლების სხვადასხვა მეთოდს (როგორიცაა ლექციები, სემინარები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, დებატები, დისკუსია, ლაბორატორიული მუშაობა, ჯგუფური მუშაობა და ა.შ.), რომლებიც დაკავშირებულია კურსის მიზნებთან და ორიენტირებულია სწავლის შედეგებზე, მაგრამ სილაბუსების განხილვისას აშკარა გახდა, რომ უმეტეს პრეკლინიკურ კურსებში რეგულარულად გამოიყენება მხოლოდ ლექცია და სემინარი. ზოგიერთ სილაბუსში შეიძლება ვიპოვოთ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც ძალიან ხანმოკლეა და არ ახლავს დეტალები. ის არ შეიძლება ჩაითვალოს პრობლემაზე დაფუძნებულ სრულ სწავლებად, რადგან სრულ PBL-ს სჭირდება ერთზე მეტი სესია (ჩვეულებრივ სამი სესია ერთი თემისთვის). კლინიკურ ეტაპზეც იგივე სურათია. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში წარმოდგენილია სწავლებისა და სწავლის რამდენიმე მეთოდი, როგორიცაა როტაცია, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, კლინიკური შემთხვევის პრეზენტაცია, კლინიკური უნარების ჩვენება და პროფესიონალიზმი, პრაქტიკული სამუშაო მხოლოდ ბუნდოვანი ტერმინია და ცხრილში არაა დამატებით წარმოდგენილი, როგორც სწავლების მეთოდი. კურსების სწავლებისა და სწავლის მეთოდები, როგორიცაა კომუნიკაციის უნარები და ხელმძღვანელობა, ასევე შემოიფარგლება ლექციებითა და სემინარებით, რომლებიც არ არის საკმარისი სწავლის შედეგების მისაღწევად. ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პერსონალის უმეტესობა არ არის მზად სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებისთვის, როგორიცაა: შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობა (CBCR) და როტაცია. მხოლოდ ერთმა ლექტორმა აღწერა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების საკლასო პროცესი. ასევე, არ არსებობს „შემთხვევების ბანკი“ (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისთვის/შემთხვევის ანალიზისთვის და ა.შ. სესიებისთვის). უნივერსიტეტის მხრიდან მივიღეთ განმარტება, რომ ეს არის პროგრამის ხელმძღვანელის ინტელექტუალური საკუთრება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა რეგულირდება „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და შემუშავების წესით“ (რომელიც დამტკიცებულია რექტორის მიერ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები • დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები; • გასაუბრებების შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში; • „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი“ (რექტორის მიერ დამტკიცებული).
რეკომენდაციები: • საჭიროა ყველა სილაბუსის გადახედვა სწავლებისა და სწავლის იმ მეთოდების უზრუნველსაყოფად, რომლებიც შესაფერისია კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად. • რეკომენდირებულია მთელი პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების თანამედროვე სწავლების მეთოდებში.
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: • არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (არსებობის შემთხვევაში)
შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6 სტუდენტების შეფასება
➢ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის სამედიცინო პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებას 05.01.2017 (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ) და რეგულირდება სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის სასწავლო პროცესის წესით.

დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, ბევრი შედეგის მიღწევა უნდა შეფასდეს Mini-CE-ის, პორტფოლიოს ან 360 გრადუსიანი შეფასების წესით, რაც გულისხმობს შეფასებას გლობალური რეიტინგის ფორმით რამდენიმე ადამიანის მიერ მათ შორის აკადემიური პერსონალის, უფროსი სტუდენტების, ექთნების და პაციენტების მიერ. რამდენიმე კლინიკური როტაციის განხილვისას ვერ ვიპოვეთ რაიმე მტკიცებულება, რომელიც გამოავლენდა შეფასების ასეთი მეთოდების განხორციელებას.

სასწავლო პროცესის მსვლელობისას, შეფასების მეთოდები გამოიყენება ცოდნისა და უნარების შესამოწმებლად. მათ შორისაა: ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, პრაქტიკული/კლინიკური/პროფესიული უნარების დემონსტრირება, კლინიკური გამოკვლევების შეფასება, OSPE/OSCE, კვლევითი ნაშრომი, კითხვარი და ა.შ.

OSCE-სთვისაც კი არსებობს სპეციფიკაცია „სტანდარტიზებული პაციენტების“ გამოყენების შესახებ. არ არსებობს რაიმე აღწერა სტანდარტიზებული პაციენტების პროგრამის შესახებ, რომელიც მოიცავს ასეთი პაციენტების დაქირავებას, ტრენინგს და მათ გამოყენებას OSCE-ს დროს. რაც შეეხება ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას, ექსპერტთა ჯგუფს გადაეგზავნა მისი გეგმა. სილაბუსებში გარკვევით არ არის ასახული საგამოცდო სადგურების რაოდენობა და არც იმის აღწერა, თუ როგორ ჩატარდება გამოცდა.

ზოგიერთ კურსში შეფასების კრიტერიუმები უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს, მაგალითად, პრეზენტაციის შეფასება (პროექტის სილაბუსი) ნათლად არ განსაზღვრავს, როდის იღებს სტუდენტი 17 ქულას და როდის 20 ქულას (17 – 20 ქულა - *თემა მკაფიოდ არის განსაზღვრული. მოიცავს სხვადასხვა წყაროს სამეცნიერო ბიბლიოთეკებიდან და მაღალი ხარისხის ჟურნალებიდან*), ან როდის იღებს 10 ან 16 ქულას (10-16 ქულა - *წარმოდგენილია თემა და საკვლევი შეკითხვა. მოიცავს ძირითად კვლევით სტატიებს დარგის სამეცნიერო ჟურნალებიდან*).

სტუდენტებისთვის უფრო მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, რას ნიშნავს „მცირე“ და „გარკვეული“ შეცდომა (CAP სილაბუსები - *სტუდენტი ასრულებს პროცედურას მცირე შეცდომებით - 3 ქულა, სტუდენტი ასრულებს პროცედურას გარკვეული შეცდომით - 2 ქულა).*

დოკუმენტიდან „სასწავლო პროცესის რეგულირება“, ჩვენ აღმოვაჩინეთ მე-7 მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ *„სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს“* და მე-8 მუხლის მე-14 პუნქტი: *„ყველა გამოცდა შეიძლება დაექვემდებაროს გასაჩივრებას და რეგულარული გასაჩივრების კომიტეტს ნიშნავს რექტორი“;* აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა ინფორმაცია არაა მოწოდებული. ამგვარად, დაწესებულებაში ვიზიტის განმახორციელებელმა ჯგუფმა ვერ მოიპოვა გასაჩივრების პროცესის მკაფიო განმარტება სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა; • სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები: • შეფასების მეთოდები და სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს დარგობრივ მახასიათებელს. • რეკომენდებულია სილაბუსებში მკაფიოდ იყოს ახსნილი შეფასების კრიტერიუმები. • საჭიროა გასაჩივრების პროცესის დაზუსტება.
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: • არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება			✓	

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი ახორციელებს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას აღნიშნული სერვისების შესახებ, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისძიებას და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები
➢ სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით,აკადემიური მიღწევების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ მილენიუმის აკადემიური პერსონალი უაღრესად მოტივირებულია, რათა მიაწოდოს სტუდენტებს მაღალი ხარისხის სასწავლო ინფორმაცია და დაეხმაროს მათ სწავლის დროს. ○ ვინაიდან მილენიუმის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები, ინტერვიუ ჩატარდა ფარმაციისა და სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებთან. ამ სტუდენტების უმეტესობა მიღებულ იქნა ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტში, რომელიც მოგვიანებით გახდა სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმის ნაწილი (ზოგიერთ სტუდენტს გააჩნდა წინარე სწავლის გამოცდილება უკრაინასა და თურქეთშიც). ინგლისურ ენაზე გასაუბრებისას სტუდენტების უმეტესობას ჰქონდა კომუნიკაციის სერიოზული პრობლემა. არცერთი მათგანი არ იყო ჩართული რაიმე სახის საერთაშორისო ან ადგილობრივ აკადემიურ ღონისძიებაში/კონფერენციაში/კვლევაში. ზოგიერთმა მათგანმა გაიხსენა, რომ ჰყავთ ფეხბურთის გუნდი და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ამ პროცესში. ○ ფარმაციისა და სტომატოლოგიის სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამომდინარე, სტუდენტებმა არაფერი იციან გასაჩივრების პროცესის შესახებ. ახალი ელექტრონული სწავლების სისტემა დამუშავების პროცესშია და ისინი აპირებენ ამ პრობლემის გათვალისწინებას ახალ პლატფორმაში. ○ თვითშეფასების დოკუმენტში მოხსენიებულია კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრი, თუმცა სტუდენტები ვერ გაიხსენეს ვერანაირი მხარდაჭერა ამ ორგანიზაციის მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გუნდთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორებთან, აკადემიურ პერსონალთან, ტუტორებთან, მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; • სტუდენტების ელექტრონული პორტალი (ელექტრონული სწავლა).
რეკომენდაციები: • სტუდენტები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ გასაჩივრების სათანადო მექანიზმით • სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ აქტივობებში, როგორებიცაა პროექტები, ღონისძიებები, კონფერენციები და კვლევები, უფრო სერიოზულად უნდა იქნას განხილული. • სტუდენტები მეტი ინფორმაციით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრის შესახებ
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: • არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ისაგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: o წინადადება(ები), რომელიც უნდა იქნეს განხილული დაწესებულების მიერ სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტთა მიღწევები და ინდივიდუალური მუშაობა მათთან			✓	

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, მის ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დაგეგმილი მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამას ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი (28 აკადემიური და 46 მოწვეული) ○ აკადემიური პერსონალი შეირჩა კონკურსის წესით, მოწვეული სპეციალისტების დაკომპლექტება განხორციელდა სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მოქმედ კანონმდებლობას.

- თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით 2 პროფესორი და 6 ასოცირებული პროფესორი აფილირებულია მილენიუმის უნივერსიტეტთან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აფილირების დოკუმენტები ხელმოწერილი არ არის და მილენიუმთან აფილირება ბევრ CV-ში არ არის მითითებული; CV-ების უმრავლესობა საჭიროებს განახლებას.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა და თანაფარდობა უზრუნველყოფს აკადემიური პროცესის განხორციელებას, მაგრამ პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია ზოგადია და არ იძლევა საკმარის ინფორმაციას სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვის ნორმებისა და პერსონალის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის შესახებ. ბევრი საგნისათვის (კლინიკური და პროფესიული უნარები I, IV, V, ინფორმატიკის სისტემა ჯანმრთელობაში, აკადემიური წერა, ქირურგია II, ოფთალმოლოგია, ინფექციური დაავადებები, ჯანმრთელობის დაზღვევა, ქირურგია IV, დერმატოლოგია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა, ქირურგია V, ლიდერობა, ტოქსიკოლოგია, ყბა-სახის ქირურგია, ბავშვთა ნევროლოგია, რეპროდუქციული მედიცინა) პერსონალის მხოლოდ ერთი წევრია (აფილირებული ან მოწვეული) გამოყოფილი შემცვლელების გარეშე. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრამ და გასაუბრებამ გამოავლინა ზოგიერთი სამედიცინო საგნის ლექტორთა არაკომპეტენტურობა ინგლისურ ენაში.
- პროგრამის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტ მილენიუმის ასოცირებული პროფესორი არის სრულად კვალიფიციური და პირადად ჩართული პროგრამის შემუშავებაში, მაგრამ მილენიუმის გარდა მას აქვს შრომითი ხელშეკრულება და მიმდინარე კვლევითი პროექტები კიდევ 4 უნივერსიტეტში: ილიაუნი, სეუ, ეუ, ქაუ. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელი არაა აფილირებული დაწესებულებასთან, რის გამოც არ არის დაინტერესებული, რომ მისი სამეცნიერო ნაშრომები საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული იყოს უნივერსიტეტ მილენიუმის სახელით. ამავდროულად, უნივერსიტეტ მილენიუმის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელს უკავია პროფესორის აკადემიური პოზიცია ორ სხვა უნივერსიტეტში (სეუ, ქაუ). ამ შემთხვევაში გასააზრებელია მილენიუმის პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია. მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით მან უნდა „გაუწიოს კოორდინირება პროგრამის შემუშავებას, განხორციელებას, მონიტორინგს და განმავითარებელ აქტივობებს; ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე და მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასებაში, ტექნიკურ მონიტორინგსა და აკადემიურ ექსპერტიზაში“. უფრო მეტიც, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სასწავლო მასალები, როგორიცაა PBL შემთხვევები და სცენარები, არ არის გაზიარებული პროგრამის დოკუმენტაციაში, რადგან ისინი ეკუთვნის პირადად პროგრამის ხელმძღვანელს. ეს ფაქტი საფრთხეს უქმნის პროგრამის მდგრადობას.
- საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სხვა სერვისების მხარდაჭერით. პროგრამას ემსახურება კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, თუმცა ადგილი აქვს არასრულ განაკვეთზე დასაქმებას. როგორც გაირკვა გასაუბრებებისას, ზოგიერთი მათგანი ასევე იკავებს ადმინისტრაციულ თანამდებობას სხვა უნივერსიტეტში (მაგ. პრორექტორი). აღსანიშნავია, რომ ამან შესაძლოა შეაფერხოს მათი ჩართულობა მენეჯმენტისა და

ადმინისტრირების პროცესებში. ○ პრაქტიკის ტუტორებთან/ხელმძღვანელებთან შეხვედრებმა და გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათი როლი პროგრამის განხორციელებაში ჯერ კიდევ გაურკვეველია. მათი ფუნქციები არ არის მკაცრად იდენტიფიცირებული, კომუნიკაციის ფორმები და ანგარიშვალდებულების პროცესები არ არის განსაზღვრული და, შესაბამისად, არ არის ცნობილი ტუტორებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევის წესი; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • სასწავლო მასალების (PBL შემთხვევების, სცენარების) ფლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტიტუციურ/პროგრამულ დონეზე და არა ინდივიდუალურზე, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას. • საჭიროა სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვის ნორმების დადგენა და პერსონალის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის შემუშავება. • უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის მდგრადი განვითარება სრულ განაკვეთზე დასაქმებული პერსონალის (აკადემიური და ადმინისტრაციული) მნიშვნელოვანი რაოდენობით. • გაუმჯობესდეს ზოგიერთი მასწავლებლის ინგლისური ენის კომპეტენციები.
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: • სულ მცირე, პროგრამის ხელმძღვანელი მაინც უნდა იყოს აფილირებული უნივერსიტეტთან. • პროფესიული რეზიუმეები (CV) უნდა განახლდეს პერიოდულად აკადემიური საქმიანობის რეგულარული შეფასების მიხედვით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ უსდრეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უფრო მეტიც, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არსებობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის შეფასების რამდენიმე ფორმა და კითხვარი, ასევე "აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წესის" დოკუმენტი. თვითშეფასების ანგარიში არ შეიცავს მაგალითებს ან მყარ მტკიცებულებებს, რომ სისტემა მუშაობს და აღნიშნული წესი ამოქმედებულია. დანართებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვისას, ჩვენ ვერ ვიპოვეთ დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდა მასწავლებელთა შეფასების სისტემის, აკადემიურ პერსონალისათვის გამოხმაურების უზრუნველყოფის (განმავითარებელი შეფასება) არსებობას და მისი შედეგების გამოყენებას გადაწყვეტილების მისაღებად (განმსაზღვრელი შეფასება). მილენიუმს შემუშავებული აქვს პერსონალის წახალისების სათანადო მექანიზმი; 2021-2022 სასწავლო წლის პროგრამული ბიუჯეტი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთათვის ითვალისწინებს 25000 ლარს ბონუსის/დანამატის/სტიმულირების სახით. გათვალისწინებულია ტრენინგი და ვორქშოპები ფაკულტეტის წევრებისთვის სწავლებისა და სწავლის ახალ მეთოდებთან, მათ შორის CBL და OSCE-თან დაკავშირებით. მონაწილეთა რაოდენობა მცირეა, ხოლო ვორქშოპები ხანმოკლე. ასევე, არ არის ინფორმაცია ვორქშოპების მიზნებისა და ამოცანების შესახებ და იმაზე, თუ რა ხდება ონლაინ ღონისძიებების დროს. 2021-2022 სასწავლო წლის ბიუჯეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის გათვალისწინებულია 40 000 ლარი, მივლინებისთვის კი 15 000 ლარი. ჩვენ ვერ მივაგენით რაიმე დოკუმენტს, რომელიც აჩვენებდა სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის გეგმას, უზრუნველეყო სამომავლოდ მნიშვნელოვანი თანხები

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის მხარდასაჭერად ან პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დასაფინანსებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დაწესებულებაში ვიზიტი; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი; • კვლევების განვითარების პოლიტიკა; • პერსონალისა და სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესები; • პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: • დაწესებულებაში პროგრამა უნდა აჩვენებდეს სწავლებისა და აკადემიური მუშაობის შეფასების სისტემის მოქმედებას როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ ასპექტებზე. • პროგრამები საჭიროებს სამედიცინო განათლების განვითარების სფეროში პერსონალის მომზადების დიდ ძალისხმევას, მათ შორის უშუალო კურსებსა და ვორქშოპებს კურიკულუმის დიზაინისა და შემუშავების, სწავლების/სწავლის და შეფასების შესახებ.
რჩევები პროგრამის განსავითარებლად:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსები
➢ პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განხორციელების ადმინისტრირება ხდება უნივერსიტეტის მთავარ კამპუსში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ქსნის ქუჩა 35.
- ამ პროგრამის სასწავლო კურსების საკლასო ოთახები კარგადაა აღჭურვილი კომპიუტერებითა და სხვა საჭირო მოწყობილობებით/ინსტრუმენტებით. თითოეულ საკლასო ოთახში ადგილების რაოდენობა 25-30-ზე ნაკლებია. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტთა თითოეული ნაკადი (სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი აპირებდა ყოველწლიურად 50-60 სტუდენტის მიღებას) ვერ განთავსდება ამ საკლასო ოთახებში. ეს დიდ გავლენას ახდენს კურიკულუმის დაგეგმვასა და განხორციელებაზე. ეს მოითხოვს სტუდენტების თითოეული ნაკადის დაყოფას ორ პარალელურ ჯგუფად და ყველა კურსის უზრუნველყოფას ორივესთვის ყოველ სემესტრში. ეს დიდი ტვირთია უნივერსიტეტისა და პერსონალისათვის და არ არის მოხსენიებული სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში. ეს იწვევს დიდ კითხვას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ინფორმირებულობის შესახებ ამ გამოწვევის თაობაზე.
- კლინიკური უნარების ცენტრი განთავსებულია უნივერსიტეტის პირველ სართულზე. 8 ოთახი აღჭურვილია სიმულაციური მანეკენებითა და აღჭურვილობით. OSCE გამოცდებზე გამოსაყენებელი სათვალთვალო სისტემა ფუნქციონირებს.
- აღსანიშნავია, რომ კლინიკური უნარების ცენტრის კაბინეტები აღჭურვილია მოწინავე ტექნოლოგიებით, როგორიცაა ლაპაროსკოპიული ერთეული, ქირურგიული ოთახი, პაციენტის ვენტილაცია და ა.შ. თუმცა, აშკარაა, რომ ცენტრი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტთა კლინიკური მომზადებისათვის აუცილებელი ძირითადი მანეკენებითა და აღჭურვილობით ჯერ არ არის უზრუნველყოფილი.
- პერსონალმა აცნობა ექსპერტთა ჯგუფს, რომ დამატებითი მასალების შეკვეთა გაფორმებულია, რაზეც უმაღლესმა სასწავლებელმა წარმოადგინა ანგარიშ-ფაქტურები.
- მიუხედავად ამისა, ამ პროგრამისთვის აუცილებელი ყოვლისმომცველი კლინიკური სწავლებისათვის უნივერსიტეტი საჭიროებს მანეკენებისა და ძირითადი აღჭურვილობის რაოდენობის გაზრდას.
- ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა ორი კლინიკური ბაზა. ავერსის კლინიკა მზადაა ითანამშრომლოს დაწესებულებასთან და შეთანხმება გაფორმებულია. კლინიკა იღებს რამოდენიმე უნივერსიტეტის სტუდენტებს, თუმცა სტუდენტებისთვის გამოყოფილი ფართი შეზღუდულია. საკონფერენციო დარბაზის გარდა, 1 ოთახია გამოყოფილი ყველა სტუდენტისთვის.

- ლიდერმედი (in-vitro კლინიკა) - სამომავლოდ ამ დაწესებულებაში განხორციელდება სწავლება მეანობასა და ქირურგიაში. აღსანიშნავია, რომ კლინიკა ახალი აშენებულია და ეს სერვისები არ ფუნქციონირებს და არც იგეგმება. ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ რამდენიმე სპეციალიზებულ პერსონალს, მათ შორის დირექტორს. მათ არ იცოდნენ დეტალები, თუ როგორ წარიმართებოდა პროცესი და ამ დროისათვის მხოლოდ ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული. კარგი ისაა, რომ უნივერსიტეტი ამ დროისთვის არ თანამშრომლობს არცერთ სხვა უნივერსიტეტთან სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს უნივერსიტეტისთვის.
- უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს კლინიკური ბაზების რაოდენობა და ასევე გააღრმავოს თანამშრომლობა არსებულ საავადმყოფოებთან, რადგან ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ ისინი მეტწილად არ არიან ინფორმირებულნი მათი თანამშრომლობის დეტალების თაობაზე და უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ხელი აქვთ მოწერილი ხელშეკრულებებზე.
- სილაბუსებით განსაზღვრული ძირითადი და სხვა ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ციფრულ ბიბლიოთეკაში, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე. ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის ყველა წიგნი მედიცინის სფეროსათვის შეუსაბამო და ასევე მოძველებულია. როგორც ჩანს, ბიბლიოთეკის თაროები ამჟამად გამოიყენება არქივირებული არასამედიცინო წიგნების საცავად. არის 12 მაგიდა სტუდენტებისთვის და 5-6 კომპიუტერი ციფრული ბიბლიოთეკის გამოსაყენებლად, რომლებიც გარდა ფარმაციისა და სტომატოლოგიის არსებული სტუდენტებისა, არ არის საკმარისი ყოველწლიურად მისაღები სტუდენტების რაოდენობისათვის. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები განსაზღვრულია ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღრიცხულია საინვენტარიზაციო წიგნებში.
- Wi-Fi ხელმისაწვდომია შენობის ყველა ნაწილში. ასევე ფუნქციონირებს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და ლიფტი. ვიზიტის დროს ელექტროენერგია ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იყო გათიშული და მისი უწყვეტი მიწოდება არ იყო უზრუნველყოფილი.
- უნივერსიტეტში ასევე განთავსებულია კაფეტერია და სპორტული მოედანი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები;
- დაწესებულებაში ვიზიტი;
- ანგარიშ-ფაქტურები;
- ხელშეკრულებები.

რეკომენდაციები: • აუდიტორიებში საკმარისი რაოდენობის ადგილები უნდა იყოს სტუდენტთა სხვადასხვა ნაკადისათვის. • საჭიროა კლინიკური უნარების ცენტრის უზრუნველყოფა დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კურსებისათვის შესაბამისი და ადეკვატური რაოდენობის აღჭურვილობით. • ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი ფართით. • გაძლიერდეს თანამშრომლობა კლინიკურ ბაზებთან.
რჩევები პროგრამის განსავითარებლად:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა:
➢ პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამას ბიუჯეტით, რომელიც გონივრული და მიღწევადია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სწავლის საფასური უფრო მაღალია ადგილობრივთან შედარებით, რაც აჩენს კითხვას, შეძლებს თუ არა უნივერსიტეტი სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის მოზიდვას? წარმოდგენილი შრომის ბაზრის მიმოხილვის დოკუმენტი ორიენტირებულია საერთაშორისო ბაზარზე და არ არის შედარებული ადგილობრივ ბაზართან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის ბიუჯეტი; • დაწესებულებაში ვიზიტი; • ინტერვიუები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • უნდა მოხდეს სწავლის საფასურის შედარება ადგილობრივ შრომის ბაზართან.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა -			✓	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
➢ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შექმნისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტ მილენიუმში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შეფასებას, ასევე პერსონალის პროფესიულ განვითარებას. შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და სუსტი მხარეების აღმოფხვრაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა შესაბამისობაშია PDCA ციკლთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან. ეს თანამშრომლობა მოიცავს მონაწილეობას პროგრამის განვითარების გამოკითხვებში. შემუშავებულია ბევრი კითხვარი შიდა ხარისხის მართვის აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად. ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო პროგრამის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვა ჩატარდა ანონიმური ელექტრონული გამოკითხვის გზით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 56 ადამიანმა. გამოკითხვის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ პერსონალი ადასტურებს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას დარგის სპეციფიკასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ პერსონალის 100% ადასტურებს, რომ პროგრამა იძლევა განათლების უფრო მაღალ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. აღნიშნული შედეგი აღძრავს კითხვებს და შეთავაზებას: ჩატარდეს გამოკითხვა შეძლებისდაგვარად ანონიმურად და სიღრმისეულად, რათა მიღებული შედეგები იყოს პროდუქტიული და მიმართული პროგრამის გასუმჯობესებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ალტერნატიული პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები არ იყვნენ ჩართულნი თვითშეფასების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი; • გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები: • წინადადება(ები), რომელიც უნდა იქნეს განხილული დაწესებულების მიერ სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: • სასურველია პროგრამის განვითარების კვლევის ჩატარება ანონიმურად და სიღრმისეული მიდგომის უზრუნველყოფა, რათა მიღებული შედეგები იყოს პროდუქტიული და პროგრამის გაუმჯობესებისკენ მიმართული. • სასურველია ახალი პროგრამის შემუშავებისას თვითშეფასების პროცესში ალტერნატიული პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მაქსიმალურად ჩართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან, იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის უზრუნველყოფა
➢ პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. საგანმანათლებლო პროგრამა, განვითარების მიზნებისთვის აღიარებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ამ აკრედიტაციის პროცესის შეფასების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განვითარებას, დახვეწას და, შესაბამისად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას. აკრედიტაციის დროს მიღებულ რეკომენდაციებს უნივერსიტეტი გაითვალისწინებს პროგრამის დაწყების შემდეგ. საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა დამოუკიდებელმა ექსპერტმა შემუშავების ეტაპზე. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განიხილა გარე შეფასება. გათვალისწინებულ იქნა ოცამდე რეკომენდაცია და მოხდა პროგრამის რედაქტირება, დაიხვეწა სწავლებისა და შეფასების მეთოდები, გადაიხედა და გასწორდა კურსების წინაპირობები, დეტალურად გაიწერა სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები, პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი OSCE გამოცდების შემუშავებაში. პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტების მიხედვით, მილენიუმი ასევე იყენებს პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა შეფასებას, რომელშიც მონაწილეობენ დარგის პროფესიონალები და დამსაქმებლები. თუმცა, დამსაქმებელთა წარმომადგენლებმა ვერ მოახერხეს თავიანთი წვლილის დემონსტრირება პროგრამის ფორმირებაში. როდესაც ინტერვიუს დროს მათ ჰკითხეს მათი მოთხოვნების ან წინადადებების შესახებ მკაფიო პასუხი არ იქნა გაცემული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • გარე შემფასებლის ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განსავითარებლად:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

➢ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების" თანახმად, პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება რეგულარულად. ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიხედვით შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. თუმცა, გასაუბრებისას დამსაქმებლებმა და სტუდენტებმა არ დაადასტურეს მათი ჩართულობა შეფასების პროცესში.
- უნივერსიტეტი გეგმავს კვლევის, მუშაობის და პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას ყოველ სასწავლო წელს. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ვადები გაწერილია და განხორციელდება განრიგის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ახალია, მოსალოდნელია რომ კვლევის, მუშაობის და პერსონალის პროფესიული განვითარების ეს შეფასება ხორციელდება მიმდინარე პროგრამებისათვის.
- პროგრამის ხელმძღვანელი ყოველწლიურად წარუდგენს შიდა თვითშეფასების ანგარიშს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს; ამ ანგარიშის შედგენაში ჩართულია პროგრამის აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ინტერვიუს მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის პერსონალი იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების წესები; • თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია დამსაქმებელთა და სტუდენტების ჩართულობის გაზრდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში • პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში აუცილებელია დამსაქმებლებთან მჭიდრო კომუნიკაცია და მათი შეხედულებების გაზიარება; • პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული მიმოხილვის პროცესებმა უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის სისტემატური ჩართულობა განვითარებაში და მონაცემთა ანალიზში. • უნივერსიტეტის ხარისხის შიდა შეფასების სისტემამ უნდა შეაფასოს სასწავლო და კვლევითი აქტივობები, გააანალიზოს და გამოიყენოს შეფასების შედეგები შემდგომი განვითარების შესაძლო დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგისათვის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და მისიის შესასრულებლად.
რჩევები პროგრამის განსავითარებლად: • არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში • პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება • გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან, იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უსდ-ს სახელწოდება:
შპს სასწავლო უნივერსიტეტი მილენიუმი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, განათლების საფეხური:

დიპლომირებული მედიკოსის (MD) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება			✓	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა			✓	
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა			✓	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

აზიმ მირზაზადე

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ირინე ფხაკაძე	
ჯილდა ჭეიშვილი	
ირაკლი გაგუა	
გიორგი აბულაძე	